ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3076019

ნომერი: AR1474489

თარიღი : 31.01.2017

გაცემის თარიღი : 01.02.2017

გაცნობის თარიღი : 01.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის გამზირსა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ ქურდაძე პ/ნ 01027020351
- თბილისი III მასივი ზემო პლატო კორ. 49 ბ. 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.
ასევე გაცნობებთ, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივი–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) ასევე საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ფასადებს ვიზუალურ მხარეს, რომელებიც გამორჩეული უნდა იყოს მაღალი მხატვრული მონაცემებით , ხოლო სამსახურის შეფასებით თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო ობიექტი კერძოდ : სარეკლამო აბრებით მოცემული ტერიტორიის შემოღობვა არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული როგორც იერსახით ასევე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მითუმეტეს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების გათვალისწინებით საცხოვრებელი ზონისთვის (სსზ–2) განსაზღვრული პარამეტრებია კ 0,5 * / 0,7; კ2–4,6 კ3–0,2 (ნაკვეთის მინიმალური ფართია 700 კვ.მ მინიმალური სიგანე 20 მეტრი– ხოლო მინიმალური სიღრმე 30მეტრი) ვინაიდან თქვენი მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მონაცემებს და სამსახურს მისი სამშენებლოდ განვითარება .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, როგორც იერსახის შეფასებით , ასევე მომქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული ამ კონკრეტულ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდით 01.12.08.007.042)სარეკლამო აბრებით შემოღობვა და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.